

ურთიერთგაგების მემორანდუმი

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა
და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ჯანდაცვისა და ოჯახის
დაგეგმარების კომიტეტს შორის
ჯანმრთელობისა და სამედიცინო მეცნიერებების სფეროში**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ჯანდაცვისა და ოჯახის დაგეგმარების კომიტეტი (შემდგომში „მონაწილეებად“ წოდებულნი), თანახმად 1993 წლის 3 ივნისს ქ. ბეიჯინგში ხელმოწერილი „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის“ შესახებ შეთანხმების დებულებებისა, თანხმდებიან შემდგომ ურთიერთგაგების მემორანდუმზე:

მუხლი 1

მონაწილეები თანხმდებიან, არსებული ფინანსური რესურსებისა და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, ხელი შეუწყონ ორმხრივად ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას ჯანდაცვისა და მედიცინის სფეროში, ჯანმრთელობის, სამედიცინო, სამეცნიერო, კვლევით, საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაციებში.

მუხლი 2

მონაწილეები გააძლიერებენ და განავითარებენ თანამშრომლობას, ძირითადად, შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებში:

1. ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების გამოცდილება;
2. სამედიცინო განათლება და სამეცნიერო კვლევა;
3. გადამდებ დაავადებათა პრევენცია და კონტროლი;

4. ონკოლოგია და სხვა ქრონიკული არაგადამდები დაავადებების პროფილაქტიკა და მკურნალობა;
5. ჰოსპიტალური მართვა და სამედიცინო ხარისხის გაუმჯობესება;
6. ფიზიკური და სარეაბილიტაციო მედიცინა;
7. აკუპუნქტურა და სხვა ტრადიციული ჩინური მედიცინა;
8. ტექნიკური თანამშრომლობა, „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი და 21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზა“ ინიციატივის ფარგლებში.

აღნიშნული სფეროები განსაზღვრულია მხოლოდ სახელმძღვანელო სახით და არ გამორიცხავს თანამშრომლობას სხვა სფეროებში, ორმხრივად მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 3

მონაწილეები თანხმდებიან ითანამშრომლონ შემდეგი გზებით:

1. შესაბამისი ორგანიზაციების მხარდაჭერა, პირდაპირი გაცვლისა და თანამშრომლობის მიზნით;
2. ექსპერტებისა და სასწავლო მიზნით ჯგუფების გაცვლა, რომელიც მიზნად ისახავს გამოცდილების გაზიარებასა და თანამშრომლობის მოკლევადიანი პროგრამების განხორციელებას;
3. მონაწილეობა საერთაშორისო პროფესიულ და სამეცნიერო შეხვედრებში, რომლებიც ორგანიზებულ იქნება მეორე მხარის ტერიტორიაზე;
4. ერთობლივი პროფესიული და სამეცნიერო შეხვედრები;
5. თანამშრომლობის სხვა ფორმები, რომლებიც შეთანხმებულ იქნება მონაწილეთა შორის.

მუხლი 4

მუხლი 3-ის განხორციელების მიზნით გატარებულ იქნება შემდეგი ადმინისტრაციული ღონისძიებები:

1. მუხლი 2-ით გათვალისწინებული წინადადებები (შეთავაზება) ვიზიტის თაობაზე და სპეციალისტთა სია წარდგენილ იქნება მიმღები მხარისთვის შესაბამისი მხარის მიერ, შეთავაზებულ ვიზიტამდე სულ მცირე 3 თვით ადრე. თანხმობა უნდა ეცნობოს ვიზიტის დაწყებამდე სულ მცირე 6 კვირით ადრე.
2. წინადადებაზე თანხმობის უფლება ენიჭება მიმღებ მხარეს;
3. ორივე მხარის მიერ შეიძლება დასახლდნენ მხოლოდ ის სპეციალისტები, რომლებიც კარგად ფლობენ ინგლისურ ენას;
4. ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში არსებული ყველა გაცვლა და სხვა სახის თანამშრომლობა განხორციელდება ორივე ქვეყნის კანონმდებლობებისა და რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 5

ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების პერიოდში, სპეციალისტების გაცვლა თითოეული მხარისგან განხორციელდება მთლიანობაში სამი ადამიანი/კვირა ხანგრძლივობით თითოეულ წელს.

მუხლი 6

თუ სხვაგვარად არ იქნა შეთანხმებული, გამგზავნ მხარეს ეკისრება ვიზიტთან დაკავშირებული საერთაშორისო მგზავრობის, საცხოვრებელი ფართისა და შიდა მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 7


წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი ასახავს მონაწილეთა განზრახვებსა და ურთიერთგაგებას. აღნიშნული არ წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმებას და არ წარმოშობს სამართლებრივ უფლებებსა და ვალდებულებებს საერთაშორისო სამართლის ან მონაწილეთა შიდა კანონმდებლობი შესაბამისად.

მონაწილეთა განზრახვას წარმოადგენს, წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმით თანამშრომლობისთვის გათვალისწინებული ღონისძიებების აქტივობებისა და გაცვლის განხორციელება, თითოეული მონაწილე ქვეყნის შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად, მათ შორის ისეთი საკითხებისა რომელებიც ეხება თანხების ხელმისაწვდომობას.

მუხლი 8

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაში რჩება ხუთი (5) წლის ვადით და მისი მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

ხელმოწერილია ქ. თბილისში, 2016 წლის 5 სექტემბერს, ორ ორიგინალად, თითოეული ქართულ, ჩინურ, და ინგლისურ ენაზე, ამასთან, ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია. განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.



საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს სახელით



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის
ეროვნული ჯანდაცვისა და ოჯახის
დაგეგმარების კომიტეტის სახელით

**MEMORANDUM OF UNDERSTANDING
BETWEEN
THE MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA
AND
NATIONAL HEALTH AND FAMILY PLANNING COMMISSION OF THE
PEOPLE'S REPUBLIC OF CHINA
IN THE FIELD OF HEALTH AND MEDICAL SCIENCES**

The Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia and the National Health and Family Planning Commission of the People's Republic of China (hereinafter referred to as „the Participants”), under the terms of the Georgian-Chinese Intergovernmental Agreement on Cooperation in Health and Medical Sciences signed in Beijing on 3 June 1993, have agreed on the following Memorandum of Understanding.

Article 1

The Participants agree to promote within the framework of available funds and within their abilities mutually beneficial cooperation in health and medicine between health, medical, scientific, research, educational and other organizations.

Article 2

The Participants will strengthen and develop their cooperation basically in the following priority areas:

1. Experience in health sector reforms;
2. Medical education and scientific research;
3. Communicable diseases prevention and control;
4. Oncology and other chronic non-communicable diseases prevention and treatment;
5. Hospital management and medical quality improvement;
6. Physical and rehabilitation medicine;
7. Acupuncture and other traditional Chinese Medicine;
8. Technical cooperation in the frames of “the Silk Road Economic Belt and the 21st-Century Maritime Silk Road”.

The identification of these areas is only for guidance and does not exclude that cooperation in other fields might mutually be decided.

Article 3

The Participants agree to cooperate through:

1. Support relevant organizations to directly exchange and cooperate;
2. the exchange of experts and study groups aimed at exchanging experience and carrying out short-term programs of co-operation;
3. participation at international professional and scientific meetings organized in the country of the other party;
4. joint professional and scientific meetings
5. other forms of co-operation to be agreed upon by the Participants.

Article 4

The administrative arrangements for implementing Article 3 will be as follows:

1. Proposals for visits and name list of specialists under Article 2 will be submitted directly to the receiving side respectively by the parties at least 3 months in advance of the proposed date of the visit. Acceptance should be notified at least 6 weeks before the start of the visit;
2. The right of acceptance of proposals will lie with the receiving side;
3. Only specialists with a good knowledge of English will be nominated by both sides;
4. All exchanges and other forms of co-operation under this Memorandum of Understanding will take place in accordance with the laws and regulations in force in both countries.

Article 5

For the duration of the Memorandum of Understanding, exchanges of specialists will take place up to a total of 3 person-weeks from each side per year.

Article 6

Unless otherwise agreed, the sending party will bear the costs of international travel, accommodation, and internal travel in connection with the visit.

Article 7

This Memorandum of Understanding reflects the intentions and understandings of the Participants. It is not an international agreement and does not give rise to legal rights and obligations under international law or the domestic laws of the Participants.

The Participants intend that the arrangements for cooperation, activities, and exchanges foreseen in this Memorandum of Understanding be implemented consistent with the laws and regulations of each Participant's respective country, including those concerning the availability of funds.

Article 8

This Memorandum of Understanding will enter into force on the date of its signature and remain effective for five (5) years and may be prolonged upon mutual written agreement.

Done in Tbilisi, on 5 September 2016, in two original copies, both in Georgian, Chinese and English languages, both copies being equally authentic. In case of divergence in interpretation, the English text shall prevail.

For the Ministry of Labour, Health
and Social Affairs of Georgia

For the National Health and Family Planning
Commission of the People's Republic of
China

**格鲁吉亚劳动、卫生与社会事务部
和中华人民共和国国家卫生和计划生育委员会
关于医学科学领域合作谅解备忘录**

格鲁吉亚劳动、卫生和社会事务部与中华人民共和国国家卫生和计划生育委员会（以下简称“双方”），根据格中两国政府于 1993 年 6 月 3 日在北京签署的《格鲁吉亚共和国和中华人民共和国卫生和医学科学合作协定》，一致同意以下谅解备忘录。

第一条

双方同意在现有资金和力所能及的条件下，促进两国卫生、医学、科研、教育和其他机构在卫生和医学领域进行互利合作。

第二条

双方将优先在以下领域加强和发展合作：

- （一）卫生体制改革经验；
- （二）医学教育与科研；
- （三）传染性疾病预防；
- （四）肿瘤等慢性非传染性疾病防治；
- （五）医院管理与医疗质量提升；
- （六）物理康复医学；
- （七）针灸等中医药；
- （八）在“丝绸之路经济带和 21 世纪海上丝绸之路”倡议框架下进行技术合作。

以上仅为指导领域，双方不排除在相互确定的其它领域开展合作。

第三条

双方同意通过以下方式进行合作：

- (一) 支持两国相应的机构直接开展交流与合作；
- (二) 互派专家和考察组，交流经验、实施短期合作项目；
- (三) 出席在对方国家举办的国际性专业和科学会议；
- (四) 联合举办专业和科学会议；
- (五) 双方商定的其他合作形式。

第四条

为实施本计划第三条规定，将做出如下管理安排：

- (一) 派遣方将提前至少三个月通知接收方为执行本计划第二条的访问计划及专家名单。接收方将提前至少六周通知派遣方是否同意接受专家访问计划；
- (二) 接收方有权决定是否接受访问计划；
- (三) 双方推荐的专家应熟练掌握英语；
- (四) 在谅解备忘录下的所有交流与合作都应符合两国现行的法律法规。

第五条

在本谅解备忘录有效期内，双方接收交流的专家每年最多为三人周。

第六条

如无特别约定，由派遣方将承担国际旅费、访问期间食宿费和当地交通费。

第七条

本谅解备忘录反映了双方意愿和理解，而非国际协议，不涉及国际法和双方国内法框架下的法律权利和义务。

双方有意根据各自国家法律和法规开展此谅解备忘录框架下的合作、活动和交流安排，包括资金安排。

第八条

本执行计划自签字之日起生效，有效期五年，如双方同意可延长。

本执行计划于2016年9月5日在第比利斯签订，一式两份，每份都用格鲁吉亚文、中文和英文写成，三种文本同等作准。如解释有分歧，以英文文本作准。

格鲁吉亚劳动、卫生
和社会事务部
代 表

中华人民共和国
国家卫生和计划生育委员会
代 表

